

საქართველოს კანონი
„საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ.37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საბაჟო მოსაკრებლის ცნება

საბაჟო მოსაკრებელი არის პირებისათვის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდენენ საბაჟო ორგანოები საქონლის, აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის.“

2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები

საბაჟო მოსაკრებლების გადამხდელები არიან პირები, რომელთაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალებების დროებით შემომყვანი პირები.“

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთები

1. საბაჟო მოსაკრებლების განაკვეთებია:

ა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის - ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული 3000 ლარი და მეტი საბაჟო ღირებულების საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის - ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

გ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანისათვის:

გ.ა) 10000 კილოგრამის ჩათვლით წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე - 1 თეთრი;

გ.ბ) 10000 კილოგრამზე მეტი წონის საქონელზე - 100 ლარი + 0,3 თეთრი 10000 კილოგრამის ზევით ყოველ კილოგრამზე;

გ.გ) საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე - 2,5 თეთრი.

2. საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს ან/და სხვა ადგილებში საბაჟო პროცედურების განხორციელებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები სამმაგდება.“

4. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქონლის დაბრუნება საქართველოს საბაჟო კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 132-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 171-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“

5. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვისა და გადახდევინების წესი

1. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვის და გადახდევინების საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

2. საბაჟო მოსაკრებელი გადახდევინება საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დროს საქონლის გაშვებამდე სხვა საბაჟო გადასახდელებთან ერთად.

3. საბაჟო ორგანოებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა გადამხდელთა მიერ მოსაკრებლების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფისათვის და მისი გამოყენების კონტროლისათვის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი